პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბაზმეცადინ 22-ე წელი

ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 1951 წ. № 180 (9034). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მშვიდობისა და დემოკრატიის ინტერესთა სადარაჯოზე — „პრავდის" 1-VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).
ყირიმის ოლქის კპბკაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი კურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
გამოცდები დაიწყო (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) ობპარის სოლოლაკო კომიტეტის კლუბში (მე-2 გვერდი).
ალეო ადამია — ცივწყალა შემოვიდა შინდისში (მე-2 და მე-3 გვერდი).
ბისალიგებთა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).
მზადება ახალი სასწავლო წლისათვის (მე-3 გვერდი).
ნიჰილური მოგზაურალი (მე-3 გვერდი).
საქართველოს ხალხების ლიტერატურა და ცხოვრება ინსტიტუტი ბიბლიოთეკა (მე-3 გვერდი).
ჩეზოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის წარმატებანი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
ბრიტანეთის ტაქტ-უნივერსების მოგვაკლი 22-ე ოლიმპიადიური კონგრესისათვის (მე-4 გვერდი).

მშვიდობისა და დემოკრატიის ინტერესთა სადარაჯოზე

მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით ახალ, ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ. საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითი აღადგინეთანებს ჩინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, აღმანეთის თავისუფალ ხალხებს შრომით გმირობისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

თვითეული ახალი წარმატება სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა, რომლებიც ემყარებიან საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და ძმურ დახმარებას, საუკეთესოდ მოწმობს, რომ სწორია მათ მიერ არჩეული განვითარების გზა, შვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გზა.

ეკონომიკა ბანაკის ყველა ქვეყანაში ვითარდება ეკონომიკა და კულტურა, შენდება ფაბრიკა-ქარხნები, ჰიდროსადგურები და არხები, დიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა, შენდება ახალი ქალაქები და დაბები. ამ საფეიქვლზე უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნები თავიანთი წარმატებებით დამაჯერებლად ცხადყოფენ განვითარების სოციალისტური ბაზის უპირატესობას კაპიტალისტურ გზასთან შედარებით.

ახალი, თავისუფალი ცხოვრების შენებლობაში სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა გამარჯვებანი გამოროტებასა და ეიკოფვებს იწვევენ იმპერიალისტთა ბანაკში.

თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნების ხალხები ყოველდღე საკუთარი გამოცდილებით რწმენიდებიან, რომ სწორია შრომელთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მითითებანი იმის შესახებ, რომ კოსმაბრიალი ბრძოლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდში არათუ არ ნელდება, არამედ კიდევ უფრო გაფაფრებული ხდება. მიმავალი ეფსლოატატორთა კლასები ბრძოლის ყველაზე უფრო მწვავე, სასოწარკვეთილების გამომბატაველ საშუალებებსაც მიმართავენ, როგორც ბინწრიოლთა უკანასკნელ საშუალებას. დროშოჟმენი ბოროტეაზია, ამბობდა ვ. ი. ლენინი, მზად არის ყოველივანი ვალერობა, მხეცობა და დანაშაული ჩაიდინოს, რათა დაიცვას დალეკილის კარზე მყოფი კაპიტალისტური ზონობა.

სოციალიზმსა და დემოკრატიის მტრებმა, იმპერიალისტებმა და მათმა დაზვერვამ დიდიხანია ძალადობა და იძულებითი მოქმედება გაიბადეს თავიანთ ძირითად მეთოდად არა მარტო საშინაო, არამედ საგარო პოლიტიკაშიც. ისინი ცდილობენ ჯაშუშობის, დივერსიების, ტერორისა და შეთქმულებათა საშუალებით უკან, კაპიტალიზმისაკენ მიბრუნონონ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განითარება, ავარსიაზი ინა ომის პოლიდრმად გადაკეცონ ეს ქვეყნები.

სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა განვითარების მთელი მსვლელობა ადასტურებს ამხანაგ სტალინის მითითებას, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ირსაბიბენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომლებსაც შემოგზავნიან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვანი.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები, ცდილობენ რა ძალით მოახვიონ თავს თავიანთი ბატონობა თავისუფალ ხალხებს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე საზიზღარ საშუალებებს მიმართავენ.

ამას ბრალეთ თქმენ მოწმობს. ჩინეთში იმპერიალისტები გზავნიან ჩანკა-შის ჯაშუშებსა და დივერსანტებს სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, დივერსიებისათვის და ახალი წყობილების მოთიშვეთა ჭკლელობის მოსაწყობად. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომელსაც აქტიურად უჭერენ მხარს მშრომელები, ფართო საყოველთაო-სახალხო ბრძოლა გააჩაღეს ამერიკელ აგენტების წინააღმდეგ, ამხილეს და სპობენ ხალხის მტრებს.

იფუშება იმპერიალისტების ხრიკები ეკრანის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ ქვეყნებში გამოაშარავდა და ლიკვიდირებულ იქნა მეცრი რიგი ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულებანი, რომლებიც მოაწყეს იმპერიალისტურმა დაზვერვებმა ტატოს თანმიტანილ ხროვის, ლამბოლი ელსპეციალისტურთა კლასების ნაშთების დახმარებით. კომინესტური და მუშათა პარტიები შრომელებს ზრდიან იმპერიალისტებისა და მათი აგენტების ხრიკებისადმი რევოლუციური სიფხიზლის ჯანლიერების სულისკვეთებით. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ, განიცდიან რა მარცხს თავისუფალი ხალხების წინააღმდეგ თავიანთ დანაშაულებრივ წამაქეზებელ მოქმედებაში, იმპერიალისტები არ იღებენ ხელს ძირგამომთხრელ მუშაობაზე, სულ ახალ და ახალ ანტიხალხურ შეთქმულებას აწყობენ.

ამ უკანასკნელ ხანს რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ალბანეთის შრომელებმა ამხილეს ბევრი ჯაშუში და დივერსანტი, რომელნიც ამ ქვეყნებში შეგზავნეს დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტებმა და ტატოს ფაშისტურმა ხროვამ.

გუშინ ვარშავის უმაღლეს სამხედრო სასამართლოში დაიწყო ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პროცესი. ეს ორგანიზაცია ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა, შეთქმულებებს აწყობდა პოლონეთის არმიის რიგებში. როგორც საბჭოლდეგენი დასკვნიდან ჩანს, სახალხო პოლონეთის წინააღმდეგ შეთქმულთა გეგმები შემუშავებულ იქნა პოლონეთის რეაქციელი ემიგრაციის წრეებში ლონდონში ჯერ კიდევ 1944 წელს, ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით. ბრალდებულნი ციალობდნენ ძალით დაეზროთ სახალხო ხელისუფლება პოლონეთში, ძირს ეთხრიდნენ პოლონეთის თავდაცვისუნარიანობას, ყველფერს სჩადიოდნენ, რათა დახმარებოდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს პოლონეთის წინააღმდეგ მათი აგრესიული გეგმების განხორციელებაში. პოლონელი ხალხის მტრები ცდილობდნენ პოლონეთის შრომელთათვის წაერთმიათ მიეცი მათი მონაპოვარი, აღედგინათ პოლონეთში კაპიტალისტური წესწყობილება, მოეგალიჯათ პოლონეთის დასავლეთი მიწაწყალი, ხოლო პოლონეთის დანარჩენი ნაწილი იმპერიალისტების კოლონიად გადაექცეთ.

რეაქციის აგენტები მემარჯვენე ნაციონალისტური ელემენტების დახმარებით გაძარცნენ თვალსაჩინო პოსტებზე ბევრ ადამიანებს, ეს ეს იქ ძირგამომთხრელ ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ, შეთქმულებს აწყობდნენ. ასეთნი ამ ადამიანებიც ახალი მსოფლიო ომის ეაჩაღებაზე და პოლონეთის წინააღმდეგ იმპერიალისტების ინტერვენციაზე. საზიზღარი მოღალატეები და ჯაშუშები ტერორის აქტებს ამზადებდნენ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეებისა და მთავრობის წევრების წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ პოლონეთში ზეშექმნილ ეიუბოსლავიაში ტიტის რეჟიმის მსგავსი ფაშისტური რეჟიმი. გადაეკეთათ პოლონეთი ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების ვასალად.

იმპერიალისტები ამჯერადაც სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. პოლონეთის მშრომელებმა, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გარშემო, ამხილეს რეაქციის დანაშაულებრივი შეთქმულება.

ძირგამომთხრელი საქმიანობის, შეთქმულებების ეს და მრავალი სხვა ფაქტი მოწმობს, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ყოველ საშუალებას მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ მშვიდობიან შრომებს. ახალი სახალხოდემოკრატიული სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნების მუშებმა და გლეხებმა უკვე საკმაოდ დიდი ბედნიერ ახალი ცხოვრების შენებლობაში. ახალი სახალხოდემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნაში. მათ შეიგნეს ახალი, თავისუფალი ცხოვრების უპირატესობა, შეიძინეს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილება და მტკიცე რწმენით მიდიან წინ, დემოკრატიისა და სოციალიზმის გზით, ამხილეს ბევრ ამ ხალხებ ყველა და ყოველ ვარ მტერს. ისინი დაუღალავად განმტკიცებენ სახალხო-დემოკრატიულ რეჟიმს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმებიაც ასრულებს.

კომუნისტური და მუშათა პარტიების გარშემო დარაზმული თავისუფალი ხალხები ფხიზლად იცავენ თავიანთ ისტორიულ მონაპოვარს იმპერიალისტების ხელყოფისაგან, განამტკიცებენ თავიანთ ინტერნაციონალურ ერთიანობასა, საბჭოთა კავშირთან ეკაშრისა და მეგობრობას. მათ იციან, რომ სოციალიზმის საქმისაგან ერთგულება, საბჭოთა კავშირთან ურღვევი მეგობრობა მათი ძალების მძლავრი წყაროა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტიაა.

აძლევენ რა რევოლუციურ სიფხიზლეს, ამხელენენ და სპობენ რა იმპერიალისტთა მტრულ აგენტურას, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების შრომელნი დანან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი საქმის ინტერესთა სადარაჯოზე.

„პრავდის" 1-VIII მოწინავე

* გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „კომუნისტი" № 179.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ ყირიმის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე 106 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 10 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1949 წელს, და 14 მილიონი 800 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გასული წელს. კოლმეურნეობანი ბახჩისარაისკენ სახელმწიფოსადმი პურის ჩაბარებას მტლ-ების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სავსებით მოიმარაგეს თესლი საშემოდგომო და საგაზაფხეური თესვისათვის. ამგვარად კოლმეურნეობანი ქმნიან საფუძველ, სადაზეკეეო, სათესლე გარდამავალ და სხვა ფონდებს, რომლებიც საჭიროა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ყოველმხრივ ავითარებენ რა საარტელო საზოგადოებრივ მეურნეობას, ადიდებენ ფულად შემოსავალსა და სოსტემატურად ავსებენ განეყოფილ ფონდებს მეცხოველეობის ნაგებობათა, გუბერებს, წყალსატევებს, საკოლმეურნეო ელექტროსადგურებისა და სხვა საწარმოო ნაგებობათა მშენებლობისათვის, კოლეეურნეობანი საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების საფუძველზე უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ადიდებენ შრომადღეებზე ნატურალური და ფულადი შემოსავლის გაცემას.

ყირიმის ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დიდ მადლობას გამოთქვამენ ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი და პირადად თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებაზე ყოველდღიური, მამობრივი ზრუნვისათვის და ვალდებულებას ეისრულებენ ვადამდე შეასრულონ მატყლის, ნედლი ბამბის, მზესუმზრისა, ეთერზეთოვანი კულტურების, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

ამგვარად ყირიმის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან მზრაალდ ჩენისა და შემოდგომის ანეული ხენის ჩასატარებლად და საშემოდგომო თესვისათვის მოსამზადებლად, რათა მტკიცედ საფუძველი ჩაეყარონ 1952 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებას.

ყირიმის ოლქის მშრომელნი პირობას გაძლევენ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ძალებს მოახმარენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ გაძლიერებას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. ტიტოვი.
ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. პოტაპოვლოვი.
დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ყირიმის ოლქში ა. ალლინინი.
ყირიმის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი მ. პაუზინკო.
მარცვლეულის ტრესტის დირექტორი ნ. ბასლოვი.
ბამბის ტრესტის დირექტორი ი. ლევინი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის და 1950 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულებათა შესაბამისად **1950 წლის ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის,** როცა ამავე დროს კოლმეურნეობებმა შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებული ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებანი და სრულად მოიმარაგეს ყველი კულტურის თესლი 1951 წლის საგაზაფხეური თესვისათვის, დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით

17. **ობანდიდი** პოლიხრონ პავლეს-ძე — ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 8,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.218 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

18. **კვეპანტარაძე** თამარ ალექსანდრეს ასული — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მრგოლური, რომელმაც 4,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.708 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

19. **კერიდი** ალექსანდრა ივანეს ასული — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.346 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

20. **კილასონია** ვენერა კირილეს ასული — გეგეჭკორის რაიონის კეობიშეულის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.876 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

21. **ქინქლაძე** ლავრო ვასილის-ძე — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 8,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.470 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

22. **კოტრიაძე** სვეტიანე ვარლამის-ძე — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.935 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

23. **ეკინეფლია** ნიკოლოზ იაკრონის-ძე — ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 11,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.060 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

24. **კუტაძე** შოთა ილარიონის-ძე — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 19,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.856 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

25. **ლომჯარია** თამარ ერასტის ასული — მახარაძის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.351 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

26. **მაკრიდი** სოფიო ხარლამპის ასული — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.051 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

27. **მახარაძე** ეკვანინა ამბრეკის ასული — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მრგოლური, რომელმაც 3,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.306 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

28. **მეგრელიშვილი** გრიგოლ მიხეილის-ძე — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 164,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.664 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

29. **მუჯირი** ანტონ მელქიონის-ძე — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.006 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

30. **ნადირაშვილი** ზინაიდა იასონის ასული — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.720 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(ბაბრაძელება იხილეთ)

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის მეხეთის ქარელის რაიონის მდივანი ამხ. რევოლიუციაშვილი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნიკალაური, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ქარელის რაიონში ამხ. ლურსმანიანაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 1 აგვისტოსათვის 101,9 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად).

სახელმწიფოს ჩაბარდა 3.125 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის მეხეთის რაიონის მდივანი ამხ. ხუჯაძე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯაკაბიშვილი და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მცხეთის რაიონში ამხ. დარჯანია იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 31 ივლისისათვის მთლიანად შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად).

სახელმწიფოს ჩაბარდა 1.513 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის დუშეთის რაიონის მდივანი ამხ. ბეძეაური, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბუნაფული და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული დუშეთის რაიონში ამხ. ზინვარიული იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 1 აგვისტოსათვის მთლიანად შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად).

სახელმწიფოს ჩაბარდა 650 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

გამოცდები დაიწყო

ცაუბარი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრ ამხ. ნ. კეცხოველთან)

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი არსებობის მანძილზე ჩვენს სამშობლოს 16.000-ზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოუმზადა. მათ შორის მრავალია მეცნიერებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწე.

გასულ სასწავლო წელს უნივერსიტეტი დაამთავრა 947 კაცმა. აქედან 50 ფრიადოსანი კურსდამთავრებული დაუტოვებულ იქნა უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

წელს უნივერსიტეტის კოლეკტივი მომზადებული შეხვდა მისაღებ გაოცდებს. გამოცდებისაგან გამოიკა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები, 1 ივლისიდან ყველა საგანში წარმოებდა კონსულტაციები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. მისაღებ გამოცდებზე რაიონებიან ჩამოსულნი უზრუნველყოფილი არიან საერთო საცხოვრებლებით, კეთილმოწყობილი ბინებით, სადაც მათ შეეძინიათ აქვთ ყველა პირობა ნორმალური მეცადინეობისათვის.

წელს უნივერსიტეტში ეაკანტურ ადგილებზე გასაკუთრებით დიდი კონკურსია. ყველა ფაკულტეტზე ჩაირიცხება 1.015 კაცი, ხოლო განცხადებები შემოტანილი აქვს 2.680-ს. აქედან ოქროს მედალისანი 247, ვერცხლის მედალისანი — 266, ტექნიკუმების ხუთპროცენტიან გამოშვებაში მოხვედრილი ოქროს მედალისანი — 34, დიდი სამამული ომის მონაწილე ფრიადოსანი — 12. სულ უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხება 559 ფრიადოსანი. მისაღებ გამოცდებს აბარებს 2.121 კაცი, ე. ი. ერთ ვაკანტურ ადგილზე მოდის დაახლოებით ოთხი ჩამბარებელი.

შარშანდელთან შედარებით წელს დიდი მისწრაფებაა ფიზიკის ფაკულტეტზე, სადაც ოქროსა და ვერცხლის 128 მედალისანი ჩაირიცხა. ასევე დიდი მისწრაფებაა ქიმიის, გეოგრაფიაგეოლოგიის ფაკულტეტის ბიბლიოგეოფიზიკური მეთოდების განყოფილებაზე, ისტორიის, ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტებზე.

მისაღები ბალეტების პირველ დღეს გამოცდები დაიწყო ფილოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ისტორიისა და ინტერდიდ ფაკულტეტებზე.

გამოცდების პირველმა დღემ გვიჩვენა, რომ წელს უნივერსიტეტში შემსვლელთა უმრავლესობას უფრო საფუძვლიანი ცოდნა და მომზადება აქვს.

პირველ დღეს ფიზიკის ფაკულტეტზე გამოცდებს აბარებდნენ ამ ფაკულტეტის ძირითად საგანში — ფიზიკაში. კარგი ცოდნა გამოავლინეს და ფრიადი შეფასება მიიღეს ობლიოლის ქალთა მე-6 საშუალო სკოლადამთავრებულმა ნ. ხუციშვილმა, გ. ადანიამ (ფოთის ეაკთა პირველი საშუალო სკოლა), ე. ვარსამაშვილმა (სილნაოის რაიონის სოფელ ჭეკმა ბობოის საშუალო სკოლა) და სხვ. გეოგრაფიაში (გეოგრაფიის ფაკულტეტი) ფრიადი შეფასება მიიღეს ე. ბაბუაშვილმა (თბილისის ეაკთა პირველი საშუალო სკოლა), ა. დანელიამ, ნ. დათუაშვილმა და სხვ.

საკამოდ კომისიებს დიდი პასუხისაგები მოვალეობა აკისრიათ. მათ საფუძვლიანად უნდა შეამოწმონ თვითეული შემმსვლელის ცოდნა, ობიექტურად მოუპყრონ თვითეულ ჩამბარებელს, რათა ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტი შეიავსოს მომზადებული თაობით.

ორი ქარხნის კოლექტივების შეჯიბრება

ბორჯომი. (სპ. კორ.). ბორჯომის შუშის ქარხნის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივთან. ბორჯომელთა ვალდებულება თვალსაჩინოებს წელიერი გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულებას.

შეჯიბრებიანი ნაკისრი ვალდებულებას ბორჯომელები წარმატებით ამაღლებენ. ქარხნის კოლექტივმა 7 თვის გეგმა 25 ივლისისათვის შეასრულა, ნორმის ნაყოფიერება გაზარდა 4,8 პროცენტით, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგა 80 ტონა ნედლეული, სამასზე მეტი ტონა საწვავი და რამდენიმე ათასი კილოვატსათი ელექტროენერგია.

ვალდებათა შესრულებისათვის ბრძანებით განსაკუთრებით დაჯილდოდნენ პ. აბრამაშვილისა და ა. ზაზიაშვილის ცალები.

გამომუშავების დღიური ნორმების შესრულებაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მოწინავეა სტაპანოველები ა. შაბთინიძე, ა. ნადირაშვილი, ვ. გაჩეჩილაძე და ა. გოგაჩაძე.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა კოლმეურნეობების საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის გეგმების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. კალანდაძემ.

— აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მომხსენებელმა, — სერიოზული ღონისძიებანი განახორციელეს კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მეჩაიე კოლმეურნეობებმა. შარშან მათ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 122,5 პროცენტით შეასრულეს და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 1.758 ტონა ჩაი. კოლმეურნეობებმა გასულ წელს წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ტუნგოს ნაყოფის, თამბაქოს და კარტოფილის ჩაბარების გეგმებიც.

— მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, — თქვა შემდეგ მომხსენებელმა, — ვერ უზრუნველყვეს ყველა აგროტექნიკური ღონისძიების განხორციელება, სათანადოდ ვერ მოუარეს სიმინდის ნათესებს, რის შედეგად ვერ შეასრულეს მოსავლიანობის გეგმები. კარგი მდგომარეობა როდი გვქონდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების 1950 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებაშიც. მართალია, აჭარის კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულეს ფულადი შემოსავლის ზრდის გეგმა, მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა ამ საქმეში მაინც ჩამორჩა. ეს იმით აიხსნება, რომ ცალკეულ კოლმეურნეობათა გამგეობები უყაირათოდ მუშაობდნენ, ხოლო რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ კოლმეურნეობათა საფინანსო მეურნეობის განმტკიცებას.

მიმდინარე წელს აჭარის კოლმეურნეობებში შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ხარისხი, მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მაინც საგრძნობი ნაკლოვანებებია.

მეჩაიე კოლმეურნეობებმა წელს ჩვენს ქვეყანას უნდა მისცენ გაცილებით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან. მეჩაიეობის რაიონთა პარტიულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე აჭარის ასსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ უსწრაფესად აღმოფხვრან ჩაის მოსავლიანობის გადიდებისა და ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

წელს წარმატებაა მოპოვებული მეთამბაქოობის დარგში. 20 ივლისისათვის აჭარაში შეტეხილი და ანემსილი იყო 1.027 ათასი ზონარ-მეტრი თამბაქოს ფოთოლი, ე. ი. 565 ათასი ზონარმეტრით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე რიცხვისათვის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ კოლმეურნეობას თამბაქოს პლანტაციებში არ გაუტარებია საჭირო აგროღონისძიებანი. არის შემოუსვლელი ფოთლის შეტეხვისა და დაუხარისხებელი ფოთლის ანემსვის შემთხვევები.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ საკოლმეურნეო წარმოების ამ მნიშვნელოვან დარგში სახელმწიფო დავალებანი არადამაკმაყოფილებლად სრულდება. რესპუბლიკის არც ერთ რაიონში არ არის შესრულებული ძროხის სულადობის ზრდის გეგმა. ასეთივე მდგომარეობაა ცხენის სულადობის ზრდის საქმეში. აჭარის კოლმეურნეობები ძალიან ჩამორჩებიან მეფრინველეობის განვითარებაშიც.

კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის გეგმების შესრულება. ფულადი შემოსავლის ექვსი თვის გეგმა კოლმეურნეობებმა მხოლოდ 38 პროცენტით შეასრულეს. საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის გეგმების შესრულებაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია შრომის ცუდი ორგანიზაციით, აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების მოუწესრიგებლობით. ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოქმედებს გამომუშავების შემცირებული ნორმები. არის შრომადღეების არასწორად აღრიცხვის შემთხვევები.

ბევრ კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. არ წარმოებს დაძაბული ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. მოუწესრიგებელია ვალდებულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება.

მომხსენებელი შეეხო აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობას და აღნიშნა, რომ რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებები ვერ ახორციელებენ მტკიცე კონტროლს კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების გეგმების შესრულებისადმი. ტექნიკური კულტურების სამინისტროს ბევრი მუშაკი გულდასმით არ სწავლობს ცალკეულ კოლმეურნეობებში არსებულ მდგომარეობას. ისინი კმაყოფილდებიან ფაქტების უბრალო აღნუსხვით და ქმედით დახმარებას ვერ უწევენ კოლმეურნეობებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის საკოლმეურნეო სოფლებში გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. ბევრ კოლმეურნეობაში კომუნისტები გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან. მაგრამ საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციები ზოგან ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. ისინი ვერ ახორციელებენ კონტროლს კოლმეურნეობათა გამგეობების საქმიანობისადმი. მართალია, პარტიულ კრებებზე იხილავენ სამეურნეო საკითხებს, მაგრამ იშვიათია ნაკლოვანებათა კრიტიკა. მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოკლებული არიან პარტიის რაიონული კომიტეტების ყოველდღიურ დახმარებას. რაიკომის ზოგიერთი მუშაკი ადგილზე მხოლოდ მაშინ მიდის, როცა საჭიროა ცნობების შეგროვება რაიკომის ბიუროს სხდომებისა და რაიკომის პლენუმებისათვის.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

ხულოს რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. მ. დეკანაძემ ილაპარაკა იმ წარმატებათა შესახებ, რაც კოლმეურნეობამ მოიპოვა მოსავლიანობის გადიდების საქმეში. წელს კოლმეურნეობამ მინდვრის სამუშაოები 12-14 დღით ადრე დაამთავრა, ვიდრე შარშან. გაუმჯობესდა ნათესებისა და ნარგავების მოვლა-პატრონობა. აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოვეტსპეციალისტები, თქვა მან შემდეგ, არ ეხმარებიან კოლმეურნეობას, ამითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობაში ბევრია მცირეპროდუქტიული პირუტყვი.

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. მ. ყურშუბაძემ განაცხადა: ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებში იმითაც არის გამოწვეული, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა მუშაკები ღრმად ვერ წვდებიან კოლმეურნეობათა მუშაობას, ქმედით დახმარებას არ უწევენ მათ. რაიონების სოფლის მეურნეობის განყოფილებანი სისტემატურად არ ატარებენ დოკუმენტალურ რევიზიებს კოლმეურნეობებში.

— რაიონს აკლია საანგარიშო დარგის მუშაკები, — თქვა პარტიის ქედის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ესაძემ.—აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სათანადო ინსტრუქტაჟს არ უწევს კოლმეურნეობათა მოანგარიშეებს. სამინისტროს ინსტრუქტორ-ბუღალტერი ამხ. ბირკაია ქედის რაიონის კოლმეურნეობებში იშვიათად დადის.

დაგეგმვასა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენაში არსებულ ნაკლოვანებებზე ილაპარაკა პარტიის ბათუმის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ხელაძემ. ბათუმის რაიონმა, თქვა მან, გეგმით წელს უნდა დაამზადოს გაცილებით ნაკლები ტუნგოს ნაყოფი, ვიდრე რაიონს ამის ფაქტიური შესაძლებლობა აქვს, რაც დაგეგმვის მოუწესრიგებლობით აიხსნება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბათუმის რაიონის სოფელ ფერიის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ცეცხლაძემ, აჭარის ასსრ ტექნიკური კულტურების მინისტრმა ამხ. ა. თხილაიშვილმა, პარტიის ხულოსა და ქობულეთის რაიკომების მდივნებმა გ. ლეკვეიშვილმა და ე. ტაკიძემ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ შ. შარაშიძემ, ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ზ. კორძაიამ და სხვებმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გლეხთა დელეგაციის მიღება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში

საბჭოთა კავშირში სამი კვირის მოგზაურობის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გლეხთა დელეგაცია.

უნგრელი გლეხები იყვნენ უკრაინაში, საქართველოში, ყაზახეთში, დაღისტანში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებსა და როსტოვის ოლქში. აქ მათ ინახულეს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, იყვნენ მინდვრებში, ვენახებში, მეცხოველეობის ფერმებში.

უნგრელმა გლეხებმა ინახულეს აგრეთვე მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საექსპერიმენტო ბაზა.

სტუმრები იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, დაათვალიერეს კრემლი და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

30 ივლისს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოეწყო უნგრელ გლეხთა დელეგაციის მიღება.

მიღების დროს მინისტრმა ი. ა. ბენედიქტოვმა უპასუხა სტუმრებისათვის საინტერესო კითხვებზე, უამბო კოლმეურნეობათა გამსხვილების მნიშვნელობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ზრდის, კოლმეურნეობებში მრავალდარგიანი მეურნეობის განვითარების, საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულების, კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების შესახებ და სხვ.

მიღების დროს ვრცელი სიტყვა წარმოთქვა უნგრელ გლეხთა დელეგაციის ხელმძღვანელმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ იმრე დეგემ.

მან თქვა, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის დაწვრილებით გაცნობამ, კოლმეურნეებთან, აგრონომებთან, მეცნიერებთან შეხვედრამ და საუბრებმა საშუალება მისცა დელეგაციას ნათელი წარმოდგენა მიეღო საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაზე. დელეგატებმა შეიძინეს მდიდარი გამოცდილება, რომლის მნიშვნელობა განუზომელია. იმრე დეგემ აღნიშნა, რომ უნგრელ გლეხებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ მათ ყველგან დიდი ყურადღებით ხვდებოდნენ.

სიტყვა წარმოთქვეს აგრეთვე გლეხებმა მარიამ დიურომ, ენე ბარაჩიმ, სამეწარმოქმედო კოოპერატივის თავმჯდომარემ იმრე ხუდაკმა, ტრაქტორისტმა ქალმა ერჟებეტ მარკუშმა, კოოპერატივის წევრმა ბორბალა საბომ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საკუთარი თვალით ნახეს კოლმეურნეთა შესანიშნავი მიღწევები, რაც წინათ მხოლოდ სმენიათ.

უნგრელ გლეხებს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ოვაციებით საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის პატივსაცემად, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბელადის მატიას რაკოშის პატივსაცემად, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. (საკდეს).

პლანერისტ ა. მედნიკოვის მსოფლიო მიღწევა

30 ივლისს სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიამ საკავშირო საპლანერო რეკორდად დაამტკიცა პლანერისტ ალექსანდრე მედნიკოვის ახალი მიღწევა. გაფრინდა რა 24 ივნისს ო. კ. ანტონოვის კონსტრუქციის ერთადგილიანი პლანერით ა-9, ამხ. მედნიკოვმა სამკუთხა მარშრუტით გაიფრინა 100 კილომეტრი მანძილი საათში 77 კილომეტრი სისწრაფით. სპორტსმენმა გადააჭარბა ამ დისტანციაზე ფრენის სიჩქარის მსოფლიო რეკორდს, რაც უდრის 69,1 კილომეტრს საათში და ეკუთვნოდა შვეიცარიელ პლანერისტს.

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიამ მასალები ა. მედნიკოვის მიღწევის შესახებ გაუგზავნა დასამტკიცებლად საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის, როგორც ახალი მსოფლიო საპლანერო რეკორდი. (საკდეს).

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის საფერშლო-სამეანო სკოლის მოსწავლეებმა;

ტამბოვის ოლქის რჟაქსის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია გორას" წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის უსმანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გამოსაშვებმა სტუდენტებმა;

კალუგის ოლქის უგოდსკ-ზავოდსკის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ლატვიის სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს სეია-ქერის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა;

მინსკის ოლქის რუდენსკის რაიონის XVI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

პინსკის ოლქის ქალაქ პინსკის მილიციის 1-ლი საქალაქო განყოფილების თანამშრომლებმა;

კრასნოდარის მხარის სახბანკის კროპოტკინის განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა;

ვლადიმირის ოლქის გნეზდინოს დაწყებითი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ადგილობრივი მრეწველობის როსტოვის ინსტიტუტის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა;

ვოლინის ოლქის ვლადიმირ-ვოლინსკის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ჯიდის აიმაკის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

პენზის ოლქის ტერნოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი პრიზივის" წევრებმა;

კურსკის ოლქის სტრელეცკოეს რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კ სოციალიზმუ"-ს წევრებმა;

არხანგელსკის ოლქის კარგოპოლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის კლეტსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „ბარიკადის" წევრებმა;

ხარკოვის ოლქის საზნოვშჩინის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინკის" წევრებმა;

ვოლინის ოლქის ბერესტეჩკოს რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

იმიერკარპატის ოლქის უჟგოროდის ოკრუგის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

პენზის ოლქის პოიმის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ ჟდანოვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

იაკუტიის ასსრ სიკირის რაიონის მუშებმა, მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ;

ვოლინის ოლქის კოველის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოლინის ოლქის კოველის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ჯიდის აიმაკის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის სატყეო-სამრეწველო კავშირის იზიუმის ხისდამმუშავებელ არტელ „პრომკუსტარის" მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ალტაის მხარის ლისტვიანის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ;

პენზის ოლქის ნევერკინოს რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ ედინცის რაიონის პროკურატურის მუშაკთა კოლექტივმა;

ვოროშილოვის ოლქის ბელოლუცკის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ ყონაღქენდის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის ხვოროსტიანკის რაიონის კიროვის საავადმყოფოს მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის მედვედიცკოეს რაიონის ლინევკის დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

მოლდავეთის სსრ ნისპორენის რაიონის მაკარეშტის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

როვნოს ოლქის [illegible] რაიონის [illegible]ლებმა;

ხარკოვის ოლქის პეტროვსკოეს რაიონის ნოვო-ნიკოლაევკის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

აზერბაიჯანის სსრ ახსუს რაიონის საფინანსო განყოფილების მუშაკებმა;

ხარკოვის ოლქის იზიუმის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის" წევრებმა;

სუმის ოლქის ბურინის რაიონის მშრომელებმა;

სტალინგრადის ოლქის ნოვო-ანენსკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

მოლდავეთის სსრ ვადულ-ვოდის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ ნისპორენის რაიონის მაკარეშტის სასოფლო სამედიცინო პუნქტის მედიცინის მუშაკებმა;

კალუგის ოლქის ბაბინინოს რაიონის სადაბო შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

პინსკის ოლქის დავიდ-გოროდოკის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ეროვნული ოკრუგის სტალინის სახელობის თევზჭერის არტელის წევრებმა;

როსტოვის ოლქის რაიონულ გაზეთ „კოლხოზნიკის" რედაქციის მუშაკებმა;

ხარკოვის ოლქის ბოგოდუხოვის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვე ჟიტიას" წევრებმა;

ხარკოვის ოლქის სავინცის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი კომბაინერის" წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის აშაღიმალახის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა;

სტალინგრადის ოლქის მოლოტოვის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

იმიერკარპატის ოლქის უჟგოროდის ოკრუგის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის პეტროვსკოეს რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის დვურეჩნაიას რაიონის კოლმეურნეობა „პარტიზანის დროშის" წევრებმა;

ვოლინის ოლქის როჟიშჩეს რაიონის ინვალიდთა არტელ „რეკორდის" მუშა-მოსამსახურეებმა;

ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ეროვნული ოკრუგის მიქოიანის რაიონის კეუშკის სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

ვოლინის ოლქის როჟიშჩეს რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის მაჩეხას რაიონის ნოსოვკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

როვნოს ოლქის ვისოცკის რაიონის ვისოცკის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

როვნოს ოლქის დერაჟნოს რაიონის მედიცინის მუშაკებმა;

ხარკოვის ოლქის სტაროვეროვკის რაიონის გოროვსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოლინის ოლქის ვლადიმირ-ვოლინსკის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კიევის ოლქის შპოლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ აღდამის რაიონის კოლმეურნეობა „ბაკინსკი რაბოჩის" წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ აღდამის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლოდეჩნოს ოლქის იურატიშკის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების" წევრებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ლოზნო-ალექსანდროვკის რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კოლექტივმა;

კუიბიშევის საქალაქო ტუბერკულოზის დისპანსერის მუშაკთა კოლექტივმა;

ედინცის მოლდავური № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელთა, ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

კრასნოდარის მხარის ნოვო-კუბანსკაიას რაიონის ინვალიდთა არტელის კოლექტივმა;

დნეპროპეტროვსკის ოლქის შიროკოეს რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ.

(გაგრძელება იქნება)

ალიო ადამია

ცივწყალა შემოვიდა შინდისში*

მოთხრობა

როდესაც „მოსავლის" თავდამსხმელმა, სახელმოხვეჭილმა ტრაქტორისტმა გელა არჯევანიძემ მოხერხებულად აუარა გვერდი „რიონის" მცველებს და კართან ახლომიჭრილმა მძლავრი და ლამაზი გარტყმით ბურთი ბადეში მოაქცია, მაშინ ელდანაკრავივით წამოიჭრა ზეზე არკადი და უკმეხად გადასძახა გალმაუბნელ ფეხბურთელებს:

— ჰაატ, თქვე მართლაც გლახაკებო! ერთი კაცი ვერ შეაკავეთ ამდენმა მოთამაშეებმა? ფუ, თქვენს ვაჟკაცობას...

გაცეცხლებულმა არკადიმ მხოლოდ მაშინ იგრძნო უხერხულობა, როცა ტრიბუნასთან ახლომყოფმა ბავშვებმა ხარხარი და სტვენა ატეხეს.

გაბრუებული დაჯდა და გულმოსულად გამოხედა სილოვან მეყონიას. პირდაპირ გააგიჟა სილოვანის სიდინჯემ, ოდნავი ღიმილიც არ მოჰგვარა მის სახეს „მოსავლის" წარმატებამ.

— უთუოდ ცივსისხლიანია ეს ოჯახქორი, გაიფიქრა არკადიმ. სახეზე ხვითქად დაყრილი ოფლი შეიმშრალა და გადაწყვიტა ეს მისი ახალი აზრი გიორგი ბაკურაძისათვის გაეზიარებინა, მაგრამ გიორგის მოცინარ სახეს რომ შეხედა, იწყინა და ხელი ჩაიქნია:

— ესეც ხომ შინდისელია! გასაოცარი ხალხია შინდისელები...

მართალია, სილოვანი ჩუმად იჯდა, მაგრამ სანაცვლოდ მთისძირელები, რომელთაც საბარგო ავტომანქანები ტრიბუნებად ჰქონდათ გამოყენებული, სიხარულით ცას ეწეოდნენ: ტაშს უკრავდნენ, ყვავილებს ისროდნენ ჰაერში, მოთამაშეთა სახელებს გაიძახოდნენ და ამ სახელებში ყველაზე ხშირად ისმოდა „გელა".

მდგომარეობა უფრო გამწვავდა. ახლა მთელი სტადიონი ირწეოდა ტალღასებურად, თითქოს მუსიკის ტაქტს აჰყოლია ეს ხალხი და დირიჟორის ჯოხის დაქნევაზე ხან მარცხნივ იხრება და ხან მარჯვნივ.

თამაში დასასრულს მიუახლოვდა.

თუმცა მზე მძლავრად აცხუნებდა, მაგრამ ჭრელ-ჭრელი ქოლგები მაინც ჩაიკეცა და ჩაიმალა ხალხში. არავინ ერიდებოდა მზეს, ყველანი გატაცებით ადევნებდნენ თვალს წითელ ბურთს, რომელიც ხან „რიონის" და ხან „მოსავლის" კართან ტრიალებდა, ხან ფრინველივით დაფრინავდა ჰაერში.

ხალხი ადგილიდან არ იძროდა. ბავშვებიც ისევ მოლზე იყვნენ კურდღლებივით დასკუპებულნი...

უცებ მანქანებზე მყოფი მთისძირელები აჩოჩქოლდნენ, ისევ მოისმა ნაცნობი სახელი „გელა".

...გელამ „რიონის" თავდამსხმელს აუარა გვერდი, სწრაფად გაიჭრა წინ, გადასცდა მოედნის შუაგულს და როცა „რიონის" დამცველი მისკენ ჯიქურ გამოქანდა, მან ამხანაგს გადააწოდა ბურთი, თვითონ კი „რიონის" საჯარიმო მოედანზე შეიჭრა და როცა ბურთი ისევ მასთან გაჩნდა, ერთი წამითაც არ დააყოვნა—მარცხენა ფეხით მძლავრად გასტყორცნა „რიონის" კარის ზედა კუთხეში... თუმცა მეკარე ბურთს სწვდა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და ბურთიანად გაეხვია ბადეში.

ისეთი სწრაფი და მოულოდნელი იყო ეს თავდასხმა, რომ „რიონის" მოთამაშეები გონს ვერ მოეგნენ.

ქუხდა, ზანზარებდა მოედანი. ბიჭები უსტვენდნენ და ქუდებს ჰაერში ისროდნენ.

„რიონის" მეკარე არ დგებოდა.

მსაჯმა საათს დახედა, გაისმა სასტვენის ხმა... თამაში დამთავრდა.

პატარა ტრიბუნაზე გახევებული იჯდა არკადი ჯინორიძე. მას სილოვანის და გიორგის წასვლა არ გაუგია. როცა მასთან მოანგარიშე მივიდა და მოახსენა—სტუმრები მიდიან და როგორ მოვიქცეო, დასიცხული თვალები დაახამხამა, გამოფხიზლდა, გულმოსულად გადმოხედა მოანგარიშეს და შეუტია:

— ხომ არ გაგიჟდი! ვახშამი არა, შავი ჭირი არ გინდა?

მოედანი თანდათან დაცარიელდა.

დიდი ქოლგის ჩრდილში წყნარად ისხდნენ გალმაუბნელი ჭინკა ბიჭები და შორიდან უთვალთვალებდნენ პატარა ტრიბუნაზე კენტად მდგომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

V

შინდისელი მეგობრები ნინოს ცივწყალას ხიდთან დაემშვიდობნენ. დედამ ერთხელ კიდევ ჩაიკრა საყვარელი ქალიშვილი გულში, მიალერსა, დაარიგა, კარგად ყოფნა უსურვა.

გიორგი ბაკურაძემ გალმაუბანში წასვლა მოიმიზეზა და ცივწყალას ხიდზე მხოლოდ ორნი გავიდნენ—ნინო და გიორგი.

სიმინდებში გაწოლილ გზას მიჰყვებოდნენ ჩუმად, სიტყვაუთქმელად. და ეს ყოველთვის ასეა: მარტოდ ყოფნის დროს დაუბრუნებულებივით ხმას არ სცემენ ერთმანეთს... დღეს კი ხმას ამოიღებს ნინო: შარშან რატომ ერთი ბარათი არ გამომიგზავნე? ხომ გახსოვს, გამომშვიდობებისას რომ დამპირდი? ეგებ არაფერი გაქვს მოსაწერი?...

ნინომ გზაზე გადმოხრილ სიმინდს ფოთოლი წააწყვიტა, მალვით გახედა გიორგის და ის იყო ხმა უნდა ამოეღო, რომ უცებ თქარათქური შემოესმათ... წაბლისფერ ცხენზე იჯდა არკადი ჯინორიძე. ცხენიდან სწრაფად გადმოხტა, ფართოფართლიანი ჰილობის ქუდი მოიხადა, დასიცხულივით დაახამხამა თვალები და ულვაშებში ჩაიღიმა.

— მაშ მიემგზავრებით, ამხანაგო ნინო, არა?—მისალმებისთანავე შეეკითხა არკადი.

— მივდივარ, ამხანაგო არკადი, მივდივარ.

— ჰო, ვიცი, კიდევ ორი წელიწადი, არა, კიდევ ორი ზამთარი და ინსტიტუტს დაამთავრებთ. მერე, ცხადია, დაგვიბრუნდებით და გაგვახარებთ, დიდად გაგვახარებთ! დედისერთა ხართ, მაგრამ მერწმუნეთ, დედათქვენზე უფრო მე გამეხარდება თქვენი ჩამოსვლა... სწორედ აგრონომი არ მივარგა! სუსტად, უხეიროდ მუშაობს. ჩამოხვალთ და მეშველებათ! ბოლო სიტყვა ისე წარმოთქვა არკადიმ, თითქოს მძიმე ტვირთი მოიცილა და შვებით ამოისუნთქა, მარცხენა ხელი ულვაშზე გადაისვა და ჯერ გიორგის და მერე ნინოს გამომცდელად გაუყარა თვალი თვალში:

— თქვენს ცოდნას, — განაგრძო არკადიმ,—ამხანაგო ნინო, სწორედ ჩვენი კოლმეურნეობა შეეფერება: სიმინდი, ვენახი, ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი — აბა, რა არ არის ჩვენს კოლმეურნეობაში? მაგრამ თქვენს თავს ვფიცავ, აგრონომის ხელი აკლია...

— აგრონომი,—დამარცვლა არკადიმ სიტყვა, — თავმჯდომარის მარჯვენა ხელი უნდა იყოს, აგრონომმა თავმჯდომარეს უნდა...

— აგრონომს,—გამოესიტყვა ნინო, — კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა მოუმართოს ხელი, ამხანაგო არკადი! მე ვიცნობ თქვენს აგრონომს, შრომისმოყვარე, მცოდნე და მართალი კაცია, მაგრამ იგი მარტო ვერაფერს გახდება.

ეწყინა არკადის ნინოს ასეთი თამამი პასუხი—ნეტავ საიდან იცის ამ შინდისელმა ქალიშვილმა, მე აგრონომს ვეხმარები თუ არა? გასაოცარი ხალხია შინდისელები, — ყველაფერი იციან, რაც საქართველოში ხდება... გულმოსულად შემოხედა ნინოს, მერე გიორგის შანათა თვალები და გაჯავრებულად წარმოთქვა:

— შვიდი წელიწადია კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ და არც ერთი კოლმეურნე და აგრონომი არ ყოფილა ჩემი უკმაყოფილო... ეს შალამბერიძე კი რაღაც ექვსი თვეა ჩემს კოლმეურნეობაში მუშაობს და უკვე ამიმხედრდა: ეს ასე არ უნდა, ამხანაგო არკადი, ამდენ მუშახელს ამ საქმისათვის ნუ მოაცილებთო... შენ საქმე შითხარი, თორემ რა არის საჭირო და რა არა, მე სხვებზე უკეთ ვიცი...

მცირე მანძილზე გააცილა არკადიმ ნინო და გიორგი, მერე უცებ შედგა, ხელისგულით მოიჩრდილა მზე და დატაროებულ სიმინდებს გახედა, კმაყოფილად ჩაიღიმა ულვაშებში, გამოსამშვიდობებლად გაუწოდა ხელი ნინოს და გადაკრულად ჰკითხა—ერთად ხომ არ მიდიხართ თბილისში, ხოლო პასუხი რომ ვერ მიიღო, უხერხულობა იგრძნო, შეახტა ცხენს და ცივწყალასკენ თამაშ-თამაშით წაიყვანა.

ნინო და გიორგი გზატკეცილზე გამოვიდნენ. აქ უნდა დალოდებოდა ნინო მანქანას.

გიორგიმ ნინოს ხელბარგი მოლზე დადო, ცხვირსახოცით შეიმშრალა გაოფლიანებული ხელისგული, პაპიროსს მოუკიდა, გაღიმებულმა შეხედა ნინოს და მის სახეზე შემოკიდებულმა სიწითლემ შემოხათა...

— განა ასეთ მნიშვნელობას ანიჭებ არკადის ხუმრობას?

გიორგის შეკითხვამ უფრო დააბნია ნინო, არ იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ ბედად მთისძირიდან მომქროლავი მანქანა გამოჩნდა. წუთით შეაჩერა მანქანა შოფერმა, ნინომ ხელბარგს დასტაცა ხელი... მანქანა დაიძრა და უკან ნისლივით დააყენა მტვერი, მაგრამ ნინომ მაინც გარკვევით დაინახა, რომ გიორგი პირდაპირ შინდისისაკენ წავიდა.

VI

რაიკომის მდივნის კაბინეტში ოთხნი ისხდნენ: რაიკომის მდივანი თენგიზ მეგრელიშვილი, რაიკომის ინსტრუქტორი ვახტანგ ხიდაშელი, არკადი ჯინორიძე და გალმაუბნის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი და პარტბიუროს მდივანი გერონტი შალამბერიძე.

რაიკომის მდივანმა შეამჩნია, რომ არკადი ჯინორიძე ღელავდა, და სიტყვა პირდაპირ იმ საქმეზე არ ჩამოუგდო, რომლის გამოც დაბარებული ჰყავდა.

— გზა კარგია და მგონი არ დაიღლებოდით,—თქვა რაიკომის მდივანმა, და თუმცა ეს არკადისა და გერონტის თანაბრად ეხებოდა, რაიკომის მდივანმა არკადისკენ გადახარა თავი და ამით აგრძნობინა, რომ უპირატესად მას ეკითხებოდა.

— არა, როგორ გეკადრებათ!.. ჩინებულია ეს ახალი გზა!

მაგრამ არკადი მიხვდა, რომ რაიკომის მდივანი განგებ შეეკითხა მგზავრობაზე, და მღელვარება უფრო შემოენთო.

— გზები კარგი გვაქვს, მაგრამ სასმელი წყალი არ გვეყოფა ქალაქში... გადავწყვიტეთ ცივწყალადან გამოვეყვანოთ წყალსადენი. თქვენს სოფელში რას ამბობენ ამ მდინარის ავკარგიანობაზე? და ისევ არკადისკენ გადაიხარა რაიკომის მდივანი.

— სახელიც იმიტომ ჰქვია ასეთი, რომ ცივია. სხვა არაფერი ვიცი, ამხანაგო თენგიზ—უპასუხა არკადიმ და შეიშმუშნა.

— ეი სწორედ ეს არ ვარგა, ამხანაგო არკადი—და „არ ვარგა" ხაზგასმულად წარმოთქვა რაიკომის მდივანმა. მდინარე ჩვენი სიმდიდრეა და რატომ არ უნდა ვიცოდეთ მისი სიავკარგე? როგორია სასმელად, თუ სარწყავად... უნდა ვიცნობდეთ ჩვენს ტყეს, ჩვენი სოფლის ბალახს! ეგებ იმის გამო იწველებიან თქვენი ძროხები ასე ცოტას, რომ თქვენი საძოვრები უვარგისია. მე სწორედ გალმაუბნელმა კოლმეურნემ მითხრა, რომ ადრე სოფელი ცივწყალას ხმარობდა სასმელად და ხალხში არავითარ ავადმყოფობას არ იწვევდა ეს წყალი. შევამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ცივწყალა ნაკლებ კირიანია, ვიდრე ჩვენი სახელმოხვეჭილი მთის წყარო. ამის გამო გადავწყვიტეთ ცივწყალას შემოყვანა ქალაქში, თორემ მთის წყარო ხომ ქალაქს სულ ექვსიოდე კილომეტრითაა დაშორებული...

რაიკომის მდივანი ადგა. პაპიროსის კოლოფი გახსნა და არკადის გადააწოდა. არკადიმ მადლობა მოახსენა და იუარა, თუმცა გულით კი უნდოდა პაპიროსის მოწევა.

მდივნის კაბინეტში აღმასკომის თავმჯდომარე შემოვიდა და არკადის უცებ რატომღაც ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში გამართული დიდი ქოლგა წარმოუდგა თვალწინ; გაახსენდა, თუ როგორ იჯდა პატარა, ცისფრად შეღებილ სათამაშო ნავში ოდიშელიძე და

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. დაზგათმშენებელი ქარხანა „დაზგა". სურათზე: მექანიკური საამქროს ოსტატი ბ. ჩახუნაშვილი ამოწმებს სტახანოველი ჩქაროსანი ხარატის ნ. ორლოვის მიერ მოხარატებული ხადაზგე დეტალების ხარისხს. ფოტო ვლ. გინზბურგისა

რატომ ჩამორჩა ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა?

ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობების საშენი მასალებით მომარაგების საქმეში ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის ხვედრითი წონა თვალსაჩინოა. ნოსირელებმა წელს 9 მილიონი ცალი წითელი აგური და 1.850 ათასი ცალი კრამიტი უნდა გამოუშვან. განვლილ ექვს თვეში დამზადებულია 3.457.800 ცალი აგური და 482.300 ცალი კრამიტი. ჩამორჩენა ძირითადად კვალიფიციური მუშახელისა და ტექნიკური კადრების ნაკლებობით არის გამოწვეული. ქარხნის დირექცია და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ნაკლებად ზრუნავენ ქარხანაში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისათვის. ამის გამო ხშირად ქარხანაში მყოფი მუშების ნაწილი „წასვლის გუნებაზეა". ქარხნის ხელმძღვანელობა ცდილობს მუშახელის შეგროვებას, მაგრამ ამასთან არ ცდილობს წარმოებაში მექანიზაციის დანერგვას, რაც საგრძნობლად შეამცირებდა მუშახელის საჭიროებას.

აგურ-კრამიტის ბევრ ქარხანაში წარმატებით მუშაობენ აგურის მშრალი წესით დამყალიბებელი საამქროები, ნოსირში კი ეს საამქრო ბედის ანაბარად არის მიტოვებული. საამქროში (უფროსი ა. შურღაია) არც ინჟინერი ჰყავთ, არც ტექნიკოსი. როცა დანადგარი „გაჭირვეულდება", ძლივს ახერხებენ მის ამუშავებას. საამქროში პრიმიტიული წესით მუშაობენ: საშრობ ფარდულში სააგურე თიხას პატარა ვაგონეტებით ეზიდებიან, რაც ნახევროდაც ვერ აკმაყოფილებს საამქროს მოთხოვნილებას თიხაზე. ეს იწვევს ხარისხის გაუარესებას. ნოსირის თიხა 25-28 პროცენტამდე სინესტეს შეიცავს, საშრობ დოლს კი უნდა ეწოდოს 18 პროცენტი სინესტის მქონე თიხა, რათა ამ უკანასკნელის სინესტე დაიყვანოს 7-8 პროცენტამდე, რაც აუცილებელია მშრალი წესით წარმოებლად. დანადგარი რომ არ გაჩერდეს თიხის ნაკლებობის გამო, დოლში ჰყრიან ახალმოტანილ თიხას; დოლი ვერ ასწრებს სტანდარტული სინესტის დაცვას და თიხის დაფქვას, რის გამო ზედმეტნესტიან თიხას დანადგარი დაუყალიბებლად ყრის. ქარხანაში თიხის მოზიდვა საჰაერო ბაგირით რომ იყოს მოწყობილი, ეს არ მოხდებოდა. ამიტომ არის, რომ საამქრომ ჯერჯერობით წლიური გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის მეოთხედიც ვერ გამოიმუშავა.

უკეთესი მდგომარეობა არც კრამიტის საამქროშია (უფროსი ლ. შონია). აქ აკლიათ ნედლი კრამიტის შესაწყობი 70 ცალი მომცრო ვაგონი, რომლებიც საჭიროა კრამიტის ხელოვნური შრობისათვის. ამის გაკეთება ადგილზევე შეიძლებოდა, მაგრამ არა აქვთ კუთხოვანი რკინის ზოდები. ნედლი აგურის სველად დამყალიბებელ საამქროში (უფროსი ი. ოდიშარია) არ არის დამუშავების ავტომატიზაცია; ყურადღებით არ ეკიდებიან ნედლი აგურის დეფორმაციის აღკვეთას.

აგურ-კრამიტის წარმოებაში დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ალიზის შრობას. ცნობილია, რომ კრასნოდარის აგურის მეორე ქარხნის მუშამ ი. კარტავცევმა შემოიღო აგურის ჩქაროსნული შრობის ახალი მეთოდი, რითაც შარშან 2.700 კვადრატული მეტრი მოცულობის საშრობ ღია ფარდულში ხარისხოვნად გამოაშრო 8.774 ათასი ცალი ნედლი აგური. თუ გავითვალისწინებთ, რომ ი. კარტავცევი ერთ ცვლაში აშრობდა გამოსაწვავად ვარგის 23-25 ათას ცალ ნედლ აგურს, მისი მეთოდი, ცხადია, ფართოდ გავრცელების ღირსია. ნოსირის ქარხანაში თუმცა იყენებენ ამ მეთოდს, მაგრამ ძალიან მცირე მასშტაბით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა რესპუბლიკის სამშენებლო მასალათა მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა. დროა მისი რიტმული, უნაკლო მუშაობისათვის იზრუნონ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

ბ. მილიუტინი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

მოწინავენი და ჩამორჩენილნი

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დროულად დაიწყო ქარელის რაიონის ავლევის საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. სულაქველიძე). უკვე შეკეთებულია საკლასო ოთახები, მერხები, დაფები, მაგიდები, სკამები, კარადები და სხვ. სრულ წესრიგზეა მოყვანილი კაბინეტ-ლაბორატორიები. მიზიდულია 100 კუბმეტრი შეშა, შემოღობილია სკოლის ეზო, აღრიცხულია სკოლის ასაკის ბავშვები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზად არის აგრეთვე აბისის, ზემო ხვედურეთის, კეხიჯვრის 8-წლიანი და ზღუდრის საშუალო სკოლები. რაიონში უკვე შეძენილია 84 ცალი ახალი მერხი, 6 დაფა, 2 კარადა, 22 სკამი, 32 მაგიდა, შეკეთდა ზოგან არსებული ავეჯიც. მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი. ბევრგან სრულ უმოქმედობას იჩენენ.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჯერ დაწყებული არ არის სოფელ ბრეძის 8-წლიან სკოლაში. აქ გათვალისწინებულია საკლასო ოთახების შელესვა-შეთეთრება, სამი ღუმელის აშენება, სახურავის, მერხების, მაგიდების, დაფების, სკამების შეკეთება და სხვ. აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად სკოლის დირექციამ ხელშეკრულება დაუდო კოლმეურნეობას, რომლისთვისაც უნდა ჩაერიცხა ორი ათასი მანეთი, მაგრამ არც ერთმა მხარემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა. სკოლა სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ამ სკოლის დირექტორი ამხ. დ. ცხვედაძე მივლინებულია კურსებზე.

სოფელ კოდავარდისუბნის დაწყებითს სკოლაში ორ წელზე მეტია სწავლა ორ წყებად მიმდინარეობს იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყვეს სკოლის მეორე სასწავლო ოთახში იატაკის დაგება. ამავე სკოლას სამასწავლებლო ოთახი არა აქვს. ამიტომ მასწავლებლები შესვენების დროსაც მოსწავლეებთან არიან.

სოფელ მოხისის საშუალო სკოლაში სარემონტო სამუშაოებისათვის საჭიროა სამი ტონა ცემენტი, 1.000 ცალი აგური, ხუთი კუბმეტრი ხის მასალა. იმის გამო, რომ აღნიშნული მასალა ჯერ არ არის მომარაგებული, რემონტი არ დაწყებულა. ასეთივე მდგომარეობაა ქვენატკოცის, დიდი ახალსოფლის, ოქროსსოფლის, ატოცის რვაწლიან, სასირეთის, თამარაშენის, აბისისთავის, ზემო შაქშაქეთის დაწყებითს და ზოგიერთ სხვა სკოლაში.

რაიონის სკოლების რემონტის უზრუნველსაყოფად სახალხო განათლების განყოფილებას უნდა შემოეზიდა 140 კუბმეტრი ხის დახერხილი მასალა, 10 ტონა ცემენტი, სამი ათასი ცალი შიფერი, მაგრამ აქედან ჯერ მცირე ნაწილია შემოზიდული.

გასულ წელს რაიონის ზოგიერთი სკოლა საკმაო რაოდენობის შეშით არ იყო მომარაგებული. წელს სკოლებისათვის უნდა დამზადდეს და მოიზიდოს 3.200 კუბმეტრი შეშა, აქედან ჯერჯერობით დამზადებული და მიზიდულია მხოლოდ 430 კუბმეტრი.

საჭიროა ქარელის რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი დახმარება გაუწიოს სკოლის მუშაკებს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მოსამზადებლად.

ვ. ბურბნიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მისაბაძი ინიციატივა

ცხაკაია. (საკ. კორ.). 22 ივლისს რაიონის მშრომელებმა მოაწყეს შაბათობა სკოლების დასახმარებლად. ამ დღეს ათასობით მშრომელი მოვიდა სკოლებში. კურორტ მენჯის 90 მუშა-მოსამსახურემ საწულეისკარის დაწყებითს სკოლაში 80 გრძივ მეტრზე გაიყვანა მისასვლელი გზა, მოზიდა 20 კუბმეტრი შეშა, შემოაკავა ეზო მავთულით. კარგად იმუშავეს ზემო თეკლათის დაწყებითს სკოლაში „საქენერგოს" დასავლეთი ქსელის მეორე უბნის მოსამსახურეებმა და ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის და ციტრუსების სახელმწიფო სანერგის კოლექტივებმა შეაკეთეს ადგილობრივი საშუალო სკოლის შენობის სახურავი, ჩასვეს ფანჯრებში მინები, ამოასუფთავეს წყალსაწრეტი თხრილები 220 მეტრზე, გაკეთდა ცემენტის 2 ახალი კიბე. თეკლათის რვაწლიან სკოლაში კოლმეურნეებმა შეაკეთეს 25 მერხი, 3 დაფა, მიზიდეს 80 კუბმეტრი შეშა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 კუბმეტრისა. კარგად იმუშავეს ამ დღეს სოფელ ზანის, ოქტომბრის, ნაქალაქევის, გეჯეთისა და სხვა სოფლების მშრომელებმა.

დიდი მუშაობაა გაწეული ქალაქშიც. ვაჟთა მეორე საშუალო სკოლაში მოზიდულია 91 კუბმეტრი საშენი ქვა, 107 კუბმეტრი სილა, 19.550 ცალი აგური. ასეთივე მუშაობაა გაწეული რუსულ საშუალო, ვაჟთა პირველ საშუალო და სხვა სკოლებში.

შაბათობამ დიდი შედეგი გამოიღო.

კარგად ემზადებიან

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ ლეხაინდრაოს საშუალო სკოლაში უკვე აღრიცხეს პირველ კლასში მისაღები ბავშვები. სკოლის სახურავს გაუკეთდა რემონტი, შეიძინეს 2 კუბმეტრი ხეტყის მასალა დერეფნის შესაკეთებლად, 300 კილოგრამი ცემენტი და ტონანახევარი კირი. შეკეთებულია 30 მერხი, 4 მაგიდა. ზედა ნაგვაზაოს რვაწლიან სკოლას მომარაგებული აქვს 20 კუბმეტრი შეშა, შეკეთებული აქვს 45 მერხი, 8 დაფა, 9 საკლასო ოთახის იატაკი და სხვ.

ნიჭიერი მომღერალი

გოჰარ გასპარიანის გასტროლების გამო

საქართველოს ფილარმონიის მოწვევით თბილისში კონცერტები გამართა სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა, ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის სოლისტმა გოჰარ გასპარიანმა. გასტროლებს დიდი წარმატება ხვდა.

გოჰარ გასპარიანი ვოკალური ხელოვნების ნიჭიერი წარმომადგენელია. ის საფუძვლიანად დაუფლებულია ხელოვნების ამ რთულ დარგს, მოპოვებული წარმატებებით არ კმაყოფილდება და დიდი მონდომებით, ენთუზიაზმით იღრმავებს ცოდნას.

გოჰარ გასპარიანი 26 წლისაა. ის ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრში სულ რამდენიმე წელია მუშაობს. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ამ თეატრის სცენაზე წარმატებით შეასრულა ანუშის რთული პარტია კომპოზიტორ ა. ტიგრანიანის ამავე სახელწოდების ოპერაში. ა. სტეფანიანის ოპერაში „გმირი ქალი" გოარის პარტიის წარმატებით შესრულებისათვის გ. გასპარიანს მიენიჭა სტალინური პრემია.

ახალგაზრდა მომღერალი დაჯილდოებულია მაღალი ვოკალური ნიჭით, მას აქვს მშვენიერი, სასიამოვნო და უშრეტი ხმა ლამაზი ტემბრით. ის დაუფლებულია სიმღერის შესრულების მაღალ ტექნიკას. ეს მას ძლიერ უმსუბუქებს რთული და ძნელად დასაძლევი პარტიების შესრულებას.

გ. გასპარიანი თბილისის მაყურებლის წინაშე წარსდგა მრავალფეროვანი რეპერტუარით. მან იმღერა როგორც თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორების, ისე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებები, ბრწყინვალედ შეასრულა სომხური მუსიკის ფუძემდებლების კომიტასის და სპენდიაროვის, აგრეთვე აღემიანის, მაზმანიანის, ზაქარიანის და სხვა თანამედროვე კომპოზიტორების სიმღერები და რომანსები. გ. გასპარიანმა ჩვეული ოსტატობით იმღერა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის—„იავნანა". ის წარმატებით ასრულებს აგრეთვე დასავლეთ ევროპის კლასიკურ ვოკალურ ნაწარმოებებს, მათ შორის მოცარტის „ალილუიას" და „რონდოს". განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. გასპარიანის მიერ შტრაუსისა და გუნოს ვალსების ამაღლევებლად შესრულება. გ. გასპარიანმა დიდი წარმატებით შეასრულა რახმანინოვისა და სენ-სანსის რომანსები.

მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების დროს მომღერალი გ. გასპარიანი მუდამ თანაბარ გულწრფელობას და მუსიკისადმი დიდ სიყვარულს იჩენს. იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება თანამედროვე საბჭოთა რეპერტუარს.

ა. დავითაშვილი

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ბელორუსიაში

მინსკი. (ჩვენი კორ.). საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი კაუნასიდან, სადაც იგი საგასტროლოდ იმყოფებოდა, გაემგზავრა ჩერნიახოვსკში. სადგურის გვერდით პატარა ბაღში დგას ძეგლი სამამულო ომის გმირის არმიის გენერალ ჩერნიახოვსკისა, რომელიც დაიღუპა ამ ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ახლა ეს ქალაქი მის სახელს ატარებს.

4 ივლისს კონცერტი გაიმართა ქალაქ ჩერნიახოვსკში. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. 5 ივლისს ანსამბლი გაემგზავრა ქალაქ კალინინგრადში, ორი კონცერტი გამართა კალინინგრადის დრამატული თეატრის შენობაში. მაყურებლები დიდად კმაყოფილი დარჩნენ კონცერტით.

7 და 8 ივლისს ანსამბლი იყო ქალაქ ბალტიისკში. ამ ქალაქის მეზღვაურთა კლუბში მოწყობილი კონცერტები მეტად საინტერესო იყო.

10 ივლისს ანსამბლი გაემგზავრა კურორტ სვეტლოგორსკში. დარბაზი, რომელშიც კონცერტი მოეწყო, სავსე იყო მაყურებლებით. ესენი იყვნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები. კონცერტმა მაღალ მხატვრულ დონეზე ჩაიარა. 16 ივლისს ანსამბლი გაემგზავრა ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში.

პირველი ორი კონცერტი ანსამბლმა გამართა მინსკის ოფიცერთა სახლის დარბაზში. ეს უმშვენიერესი დარბაზი, რომელიც მრავალ მაყურებელს იტევს, ხალხით იყო გაჭედილი. ორივე კონცერტს დიდი წარმატება ხვდა. საკონცერტო პროგრამის თითქმის ყველა ნომერი მეორდებოდა მაყურებელთა მოთხოვნით.

როგორც წინა კონცერტებზე, ისე ამ კონცერტებზეც განსაკუთრებული წარმატებით შესრულდა სიმღერები: სიმღერა ლენინგრადზე და დნეპრზე, დონური მგზავრული, „სულიკო", „ციცინათელა", ნ. ხურციას მიერ დამუშავებული სიმღერა სტალინზე (სოლისტები ს. მირცხულავა, ა. გოხელეიშვილი და ვ. სვანიძე), სიმღერა მშვიდობაზე და სხვ.

19 ივლისს კონცერტი მოეწყო მინსკის ავტოქარხანაში. კონცერტს დაესწრნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები. ქარხნის დირექციამ, პარტიულმა კომიტეტმა და საქარხნო კომიტეტმა მადლობა გამოუცხადეს ანსამბლის კოლექტივს.

ასეთივე წარმატებით მოეწყო კონცერტი მ. გორკის სახელობის პარკში.

21 ივლისს ანსამბლი ჩავიდა ქალაქ ბობრუისკში, სადაც ორი კონცერტი ჩაატარა. ამ კონცერტებმა აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები. ანსამბლის მონაწილეებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები.

23 ივლისს ანსამბლი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს გაემგზავრა, იქიდან კი ქალაქ სვერდლოვსკს გაემგზავრება.

როგორი განცვიფრებით შეცქეროდა ის არკადი.

ოდიშელიძემ სკამი გამოაჩოჩა და მაგიდის გვერდით დაჯდა, ამან ერთგვარი სითამამე შემატა არკადის, მაგრამ მაინც ვერ გაეგო—აგრონომთან ერთად რისთვის იხმო ასე სასწრაფოდ რაიკომის მდივანმა.

— ახლა კი მთავარ საქმეზე მოვილაპარაკოთ,—ისევ დინჯად წარმოთქვა რაიკომის მდივანმა და რვეული გადაშალა. — ეს რვეული გვეუბნება, რომ გალმაუბნის კოლმეურნეობა ცუდად, ერთობ ცუდად მუშაობს.

არკადის წითურ სახეს სიფერმკრთალე შემოეპარა, მან კუშტად გახედა გერონტი შალამბერიძეს, შემდეგ რაიკომის ინსტრუქტორს შევლო თვალი და დარწმუნდა, რომ ესენი იყვნენ ამ საქმის მომწყობნი.

— დიახ, თქვენ მთისძირის კოლმეურნეობას ეჯიბრებით, — მარცვლავს სიტყვებს რაიკომის მდივანი,—მთისძირის კოლმეურნეობას სტადიონი აქვს და გალმაუბნელებს რატომ არ უნდა ჰქონდესო; მთისძირში კულტურისა და დასვენების პარკი გააშენეს და გადაწყვიტეთ არც თქვენ ჩამორჩენილიყავით; მთისძირელებს ჩინებული დოლის ცხენები ჰყავთ და თქვენც შეისყიდეთ დოლის ცხენები... ასე არ შეიძლება, ამხანაგო არკადი! მთისძირის კოლმეურნეობამ სტადიონითა და დოლის ცხენებით როდი დაიწყო საქმე... მან თავდაპირველად ელსადგური ააგო ცივწყალაზე, სახერხი ქარხანა და ელექტროწისქვილი გამართა, სარწყავი არხი გაიყვანა და დიდფალაში ხეხილის ბაღი გააშენა, ააგო აგურ-კრამიტის ქარხანა და, ყოველივე ამან სიუხვე დაამკვიდრა კოლმეურნეობაში. მერე, მერე-კი ადვილად შეძლეს სტადიონის მოწყობაც, პარკის გაშენებაც და კინოთეატრის აგებაც.

...თუნდაც დოლის ცხენები! მთისძირის კოლმეურნეობამ საკუთარი, ადგილობრივი ცხენები გამოიყვანა შეჯიბრებაზე, თქვენ კი გუდაუთელი კოლმეურნისგან შეისყიდეთ და რამდენი გადაიხადეთ?

— „ენგურში" ოცდახუთი, „ყორანში" ოცდაათი ათასი მანეთი, ამხანაგო თენგიზ.

— აი ხომ ხედავთ, ორმოცდათხუთმეტი ათასი მანეთი გაიღეთ ორი ცხენისთვის, როცა თქვენ თვითონვე გყავთ კარგი ცხენები, ოღონდ მათი გაწვრთნაა საჭირო.

დოლის ცხენების ხსენებამ სიწითლე დაუბრუნა არკადის სახეს. თუმცა მანამდეც ისე შეუმცდარად ლაპარაკობდა რაიკომის მდივანი, თითქოს ყოველ საქმეში მისი თანაზიარი ყოფილიყოს, მაგრამ გუდაუთელი კოლმეურნის ხსენებამ პირდაპირ გააოცა, რადგან იგი მარტო წავიდა გუდაუთაში, ცხენები ნაქურდალივით ნამალევად მოიყვანა სოფელში და ეს დედისთვისაც კი არ გაუმხელია.

— თქვენ, ამხანაგო არკადი, თავის გასამართლებლად ყოველთვის შინდისის კოლმეურნეობას წამოჰკრავთ ხელს: შარშან შინდისის კოლმეურნეობამ შრომადღეზე მხოლოდ ორი კილოგრამი მარცვალი გაანაწილა, ჩვენ კი ოთხი კილოგრამი მარცვალი და ათი მანეთიო. მე კი ვიტყვი, რომ თქვენთვის ოთხი კილოგრამის განაწილება ცოტაა, ხოლო შინდისელებისათვის ორი კილოგრამისა—მიღწევა; შევადაროთ თქვენი და შინდისის მდგომარეობა: შინდისის ნიადაგი მწირია, ამასთანავე ქარი, რომელიც გაზაფხულსა და შემოდგომაზე ცივწყალას ზემოწელიდან ქრის, ფიტავს ისედაც მწირ ნიადაგს. ეს ქარი დაჭიფებას არ აცლის და ისე აჭკნობს ხილს, ზოგჯერ ასევე ემართება სიმინდსა და ყურძენს. ფერდობი ადგილები მხოლოდ ხშირწვიმიან წელიწადს იძლევა საშუალო მოსავალს; თქვენი სახნავ-სათესი მიწა კი, ამხანაგო არკადი, მთელ რაიონში საუკეთესოა! ახლა სხვა მხრივ შევხედოთ საქმეს: შინდისელებმა გაბედულად მოჰკიდეს ხელი ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების გაშენებას და ორი-სამი წლის შემდეგ უსათუოდ უხვ მოსავალს მიიღებენ. რამდენი შრომა გასწიეს ტყის გასაშენებლად! ცივწყალადან არხის გამოყვანას ამთავრებენ და უკვე დაიწყეს ელსადგურის მშენებლობა. ორი-სამი წლის შემდეგ ნახეთ, თუ შინდისელებმა ათი და თორმეტი კილოგრამი მარცვალი და ორმოცი და ორმოცდაათი მანეთი არ გაანაწილონ შრომადღეზე... თქვენ კი თითქმის მთელ შემოსავალს შრომადღეებზე ანაწილებთ... მარტო შარშან დაიტოვეთ განუყოფელ ფონდში ასი ათასი მანეთი და ამ თანხიდან ორმოცდათხუთმეტი ათასი მანეთით დოლის ცხენები შეიძინეთ! ეს დანაშაულია, ამხანაგო არკადი! მე ისიც ვიცი, ამხანაგო არკადი, რომ თქვენ სკოლაში ელექტრობა არა გაქვთ და ელექტროენერგიას კარუსელისათვის ხარჯავთ. ესეც დანაშაულია, მძიმე დანაშაული.

გალმაუბნის კოლმეურნეობის სრული სურათი დახატა რაიკომის მდივანმა. იგი საუბრის დროს თვალებში უცქეროდა არკადის და არკადიმ ბევრჯერ შეამჩნია მას აღელვება. მაგრამ ხმისთვის ერთხელაც არ აუწევია რაიკომის მდივანს; იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კი არა ჰკიცხავდა დაშვებული შეცდომებისათვის, არამედ არწმუნებდა ამ შეცდომებში, უხსნიდა და განუმარტავდა...

რაიკომის მდივანმა საუბარი დაამთავრა. ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა და მაგიდასთან გაიარ-გამოიარა. მცირე ხნის შემდეგ დაჯდა, რვეული დაკეცა, აღმასკომის თავმჯდომარეს გაუსწორა თვალი და დინჯად უთხრა: ცხადია, ჩვენც სუსტად ვხელმძღვანელობთ! ადრევე უნდა მივშველებოდით და დავხმარებოდით ამხანაგ არკადის... და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა—როგორ ფიქრობთ, ამხანაგო არკადი—კარგი არ იქნება, თქვენ რომ სასწავლებელში გაგაგზავნოთ, რომ მეტი ცოდნა შეიძინოთ?

არკადი აღელდა და დაიბნა, ვერაფერი მოიაზრა, მაგრამ რაიკომის მდივანი ხელახლა რომ შეეკითხა, გონს მოეგო, წამოდგა, თავი დაბლა დახარა და ოდნავ გაბზარული ხმით უპასუხა.

— მე სოფელში, კოლმეურნეობაში მირჩევნია, ამხანაგო თენგიზ! შვიდი წელიწადია კოლმეურნეობაში ვმუშაობ და შემიყვარდა ეს საქმე! მე ხომ აგროტექნიკუმი მაქვს დამთავრებული...

— ვიცი, სწორედ ამის გამო გირჩევთ წახვიდეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა ორწლიან სასწავლებელში. უკეთ შეისწავლით თქვენს საყვარელ საქმეს და ისევ დაუბრუნდებით სოფელს... ახლა კი დავამთავროთ.

VII

დღეს შინდისში დიდი ზეიმია და ნინოც დღეს სამუდამოდ ჩამოდის სოფელში.

შრომაში, სწავლაში, ფიქრში გაიარა ხუთმა წელმა, და ნინოს ერთხელაც არ უგრძვნია მოქანცვა, ახლა კი როგორღაც ერთთავად მოეშვა, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ ღონე გამოაცალა, ცხოველმყოფელობა და ელფერი წაართვა მის სახეს.

ხუთი ზამთარი გაატარა ნინომ თბილისში გიორგის სიყვარულით გამთბარმა, და ახლა შინდისის გზაზე მიაბიჯებს ამ სიყვარულთან და გული უცახცახებს, თითქოს ივნისის მიწურვილი კი არა, იანვარი იყოს...

როგორ უხაროდა თბილისიდან წამოსვლა! არა, ეს სიხარულზე მეტი იყო და აი უახლოვდება თავის ეზო-კარს და ეშინია ნინოს! უხარია და ეშინია...

ეშინია, რომ სიხარული არ გაუმართლდეს! ეგებ რამე გაიგო ნინომ? არა, არაფერი არ მომხდარა! ეგებ ეს ქალის გულის განუყრელი თვისებაა — სიყვარულს, ბედნიერებას ესწრაფვის, შემოეყრება ეს ბედნიერება და სიყვარული, და მაშინ შველივით აცახცახდება და განზე გახტომას ლამობს...

...ეზოში გამოეგება დედა და სიხარულით გაახალგაზრდავებული დიდხანს ეხვეოდა და კოცნიდა შვილს.

როცა სახლში შეიყვანა და გულდასმით აათვალიერ-ჩაათვალიერა, არ მოეწონა შვილის გაოგნებული სახე.

სარკეში ჩაიხედა ნინომ და არც მას მოეწონა თავისი თავი, მაგრამ როცა ჩამოშლილი თმა თავის გადაქნევით მხრებზე გადაიყარა, თითქოს ფიქრის ბურუსიც გაიფანტა. სასწრაფოდ გამოიცვალა ტანისაცმელი და ის იისფერი კაბა ჩაიცვა, რომელსაც ყველაზე უფრო უქებდნენ ამხანაგები. და ახლა თვითონვე მოსწონდა თავი. სარკეში ჩანდა, როგორ მომეტებულად ძგერდა მისი მკერდი, სიწითლე თანდათან როგორ ეკიდებოდა სახეზე, როგორ უბრწყინავდნენ თვალები...

თავისთავით მოხიბლულმა გვიან შეამჩნია ოთახში შემოსული მეზობლის გოგონა, ხოლო როცა გოგონამ უთხრა — გიორგიც აგერ მოდისო, ნინო სწრაფად მოშორდა სარკეს და შემოსულს შეეგება.

* * *

ასეთი ზაფხული არასოდეს ყოფილა შინდისში. მართალია, გვალვა დადგა, მაგრამ არხისწყალმა სულ გააგიჟა პური და სიმინდი.

ახალი ნალიები ჩაამწკრივეს ფერდობებზე, მაგრამ კრამიტით გადახურულ ნალიებზე უფრო ნარინჯოვანთა ბაღი ალხენს შინდისელთა თვალსა და გულს.

შრიალებს აჰოჩრილი აკაცია, ვერხვი, ჭადარი, ალვისხე და ეს შრიალი სიმღერად ჩაესმით კოლმეურნეებს, — ამიერიდან ქარი ვერ მოერევა მათს ყანებს, ბაღსა და ვენახს!

ცივწყალა მიჩუხჩუხებს არხში და ეს ჩუხჩუხი სიმღერად ჩაესმით კოლმეურნეებს, —

ამიერიდან გვალვა ვერ დახეთქავს მათ მიწას!

არა, ასეთი ლამაზი და შნოიანი არასოდეს ყოფილა შინდისი...

და ხალხი, ხალხიც განსაკუთრებით ლამაზი ჩანს, აშკარაა, სიხარული ალამაზებს ადამიანს.

დიდ გზაზე მსუბუქი და საბარგო ავტომანქანებით, ცხენებით და ქვეითად მიედინება ხალხი ცივწყალას ზემოწელისკენ, სადაც სიმწვანეში ნატვრისთვალივით დგას ელსადგურის ლამაზი შენობა.

მოვიდნენ მთისძირელი და გალმაუბნელი კოლმეურნეები.

ზაფხულის არდადეგებზე ჩამოსული არკადი ჯინორიძეც აქ იყო, თავის საყვარელ წაბლისფერ ცხენზე იჯდა და როგორც კი თვალი შეავლო ელსადგურის შენობას, აღტაცებით წამოიძახა:

— რა დიდებული რამ არის! ყოჩაღ გიორგი! და ძალაუნებურად წარმოესახა გალმაუბნის მინდორზე აღმართული დიდი ქოლგა, და მისი ჩრდილი ელსადგურთან შედარებით საცოდავად და სასაცილოდ მოეჩვენა...

არკადიმ ადვილად იპოვა გიორგი, გადაეხვია და მიულოცა.

...მიტინგის დამთავრების შემდეგ გიორგი ბაკურაძემ მაკრატელი გაუწოდა რაიკომის მდივანს და სთხოვა წითელი ლენტი გადაეჭრა...

* * *

ღამით, როცა ზეიმიდან შინ მიმავალი ნინო და გიორგი არხზე გადებულ ხიდზე გადიოდნენ, ნინო შედგა, ახლოს მიიტანა სახე გიორგის სახესთან და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ჩურჩულით უთხრა:

— ჩინებულია ეს არხი... თუმცა გაძნელდა მისი მშენებლობა, მაგრამ სამაგიეროდ სიცოცხლე მოიტანა და გული გაუმთელა დახეთქილ ნიადაგს...

მერე ხიდის მოაჯირს გადაეყრდნო, ელექტროშუქით განათებულ არხისწყალს დააცქერდა და თავის გულს შეადარა მოკიაფე და მოცახცახე ჭავლები.

სიმღერა შემოესმათ. ეს სოფლის შუაგულში—დიდი მინდორი ზეიმობდა.

და დღეს ილხენს და მღერის გიორგის გულიც...

მკლავში წაავლო ნინოს მარჯვენა ხელი, ხიდის მოაჯირს მოაშორა და არხისწყალს აღევნებული ბილიკით მოზეიმე ხალხისკენ წაიყვანა.

ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან ბილიკს, ჩუხჩუხებს არხისწყალი, შრიალებს აჰოჩრილი ტყე, ელექტროშუქზე თვალისმომჭრელად ციმციმებენ მინდვრის ყვავილები. მათი სიყვარულიც უთუოდ ჰგავს მინდვრის ყვავილს: ის ხომ არავის დაუთესია, თვითონვე იშვა! გვალვის დროს არავის უსხურებია მისთვის წყალი, მაგრამ მაინც გაიფურჩქნა, გაიზარდა და გვხიბლავს არა სინაზით და სურნელებით, არა, უფრო თავისთავადობით და გამძლეობით...

და გამძლეობასა და თავისთავადობაში განუმეორებელი სილამაზეა.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის წარმატებანი

პრაღა, 30 ივლისი. (საქდეს). ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საგეგმო სამმართველომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა 1951 წლის პირველნახევარში სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შესახებ. ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გადიდებული დავალებანი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის ხალხმა რესპუბლიკის პრეზიდენტის გოტვალდის მითითებათა შესაბამისად დაისახა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, 1951 წლის პირველ ნახევარში მთლიანად შესრულდა.

მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის სამრეწველო წარმოების გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მოცულობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 12,5 პროცენტით.

ცნობაში აღნიშნულია, რომ მძიმე მრეწველობამ ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 100,7 პროცენტით (წარმოების მოცულობა, 1950 წლის პირველ ნახევართან შედარებით, გაიზარდა 14,8 პროცენტით), მსუბუქმა მრეწველობამ—102,6 პროცენტით (წარმოების მოცულობა გაიზარდა 5,3 პროცენტით), კვების მრეწველობამ—100,3 პროცენტით (წარმოების მოცულობა გაიზარდა 19,6 პროცენტით).

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა მთლიანად შესრულებულ იქნა.

მიმდინარე წლის მოსავალს და განსაკუთრებით კი თავთავიანი და საკვები კულტურების მოსავალს, წინასწარი შეფასების თანახმად, კარგი პირი უჩანს.

ცნობაში აღნიშნულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემდგომი ზრდა ჩეხოსლოვაკიის სოფელში. მანქანა-ტრაქტორთა სახელმწიფო სადგურებმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე 331 პროცენტით მეტი სამუშაო შეასრულეს, ვიდრე გასულ წელს. მტს-ების სატრაქტორო პარკი პირველი ნახევარი წლის განმავლობაში 16 პროცენტით გაიზარდა, განსაკუთრებით მაღალი წარმადობის მუხლუხა ტრაქტორებით.

ცნობაში აღნიშნულია, რომ წლის პირველი ნახევრის სამშენებლო სამუშაოთა გეგმა მრეწველობაში მთლიანად ვერ შესრულდა.

საერთოდ ჩეხოსლოვაკიის ტრანსპორტმა ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 110 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტმა—112 პროცენტით.

საგარეო ვაჭრობის მოცულობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 30,1 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

1950 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წილი ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში 52 პროცენტიდან გაიზარდა 56,8 პროცენტამდე. ამით კიდევ უფრო განმტკიცდა კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან ჩეხოსლოვაკიის მეურნეობის დამოუკიდებლობა.

ცნობაში აღნიშნულია საბჭოთა კავშირის უდიდესი დახმარება, რაც გამოიხატა ნედლეულისა და მოწყობილობის, აგრეთვე მარცვლეულის მიწოდებით, რამაც შესაძლებლობა მისცა ჩეხოსლოვაკიას უზრუნველეყო მოსახლეობა პურით.

ცნობაში შემდეგ აღნიშნულია, რომ მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა ჩეხოსლოვაკიის მრეწველობაში მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე 8,3 პროცენტით გადიდდა.

გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში. გაიზარდა აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი. 1950 წლის მეორე კვარტალთან შედარებით ხელფასი მრეწველობაში 18,6 პროცენტით გადიდდა.

საწარმოო ძალების განვითარება, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის ზრდა და გაფართოება ხელს უწყობს ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა საარსებო დონის შემდგომ ამაღლებას. ცნობაში ნათქვამია, რომ 1951 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხორცის მოხმარება გაიზარდა 24,3 პროცენტით, ქონისა—6,5 პროცენტით, ერბო-კარაქისა—37,9 პროცენტით, შაქრისა—19,4 პროცენტით, ყავისა—53 პროცენტით, ჩაისა—90,9 პროცენტით, კამფეტისა — 34 პროცენტით, რძისა—8,2 პროცენტით, პურისა და ჭვავის ფქვილისა—18,4 პროცენტით. ამავე დროს გაიზარდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოთხოვნილება თავისუფალ ბაზარზე.

ცნობაში აღნიშნულია კულტურის შემდგომი ამაღლება ჩეხოსლოვაკიაში.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 31 ივლისი. (საქდეს). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე ურტყამენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებსა და ლისინმანელთა არმიას.

სინხუას სააგენტო კესონის მოლაპარაკების შესახებ

პეკინი, 31 ივლისი. (საქდეს). სინხუას სააგენტო იუწყება:

სინხუას სააგენტოს ფხენიანელმა კორესპონდენტმა კორეის ფრონტის შტაბში შეიტყო, რომ კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მე-15 სხდომაზე, რომელიც დაიწყო დღეს დილის 10 საათზე კორეის დროით, გრძელდებოდა განხილვა საკითხისა დემილიტარიზებული ზონის შექმნისათვის ორ მხარეს შორის სამხედრო სადემარკაციო ხაზის დაწესების შესახებ. სხდომა დილის 11 საათსა და 32 წუთზე შეწყვეტილ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციის წინადადებით. შემდეგი სხდომა გაიმართება ხვალ დილის 10 საათზე.

ჩინელი მოხალისეების მიერ კორეაში ტყვედ წაყვანილი ინგლისელი მფრინავის ნაამბობი

პეკინი, 31 ივლისი. (საქდეს). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება:

როგორც ჩინელი მოხალისეების მიერ 23 ივლისს ტყვედ წამოყვანილმა ინგლისელმა მფრინავმა განაცხადა, კორეაში ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების რიგითი სამხედრო მოსამსახურეები იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება კორეაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ წარმატებით დამთავრდება და ისინი მალე დაბრუნდებიან შინ. ეს მფრინავი, უმცროსი ლეიტენანტი ჰელი მაიკლი მსახურობდა ამერიკა-ინგლისის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენთა მე-18 გაერთიანებული საავიაციო ჯგუფის მე-2 საავიაციო ესკადრილიაში და 9 ივლისს სამხრეთ აფრიკიდან ჩამოვიდა კორეაში.

მან განაცხადა, რომ იმ სამხედრო-საჰაერო ბაზის მთელი პერსონალი, სადაც იგი იმყოფებოდა, აღელვა ცნობამ, რომ მალიკმა მოუწოდა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ. შემდეგ მაიკლმა აღნიშნა, რომ როგორც

ბრიტანეთის ტრედ-უნიონების მომავალი 83-ე ყოველწლიური კონგრესისათვის

ლონდონი, 31 ივლისი. (საქდეს). დღეს ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონების 83-ე ყოველწლიური კონგრესის წინასწარი დღის წესრიგი. კონგრესი გაიხსნება ბლეკპულში 23 სექტემბერს. ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესში შემავალ პროფკავშირთა მიერ წარდგენილი რეზოლუციები ასახავენ იმ მძაფრ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჰყოფენ ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესისა და ლეიბორისტული პარტიის რეაქციულ ხელმძღვანელობას და, მეორე მხრივ, პროფკავშირებისა და ლეიბორისტული პარტიის რიგით წევრებს მშვიდობის, გამალებული შეიარაღებისა და ინგლისში სიძვირის ზრდის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ 6 პროფკავშირის მიერ წარდგენილ ყველა რეზოლუციაში გამოხატულია შეშფოთება ლეიბორისტული მთავრობის ახლანდელი პოლიტიკის გამო. „კონგრესი შეშფოთებით აღნიშნავს, — ნათქვამია მანქანათმშენებლობისა და გემთმშენებლობის მხაზველთა პროფკავშირის რეზოლუციაში, — შეიარაღების ხარჯების განუწყვეტლივ ზრდას ყველა ქვეყანაში და მსოფლიოს გათიშვას სახელმწიფოთა ორ მტრულ ბლოკად. კონგრესს მიაჩნია, რომ შეუძლებელია მიღწეულ იქნას მშვიდობა ახლანდელი გამალებული შეიარაღების საშუალებით. ამიტომ იგი მოუწოდებს ინგლისის მთავრობას გამოიყენოს თავისი გავლენა დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მისაღწევად ისე, რომ შესაძლებელი იყოს შეწყდეს ცივი ომი, მიღწეულ იქნას შეთანხმება შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ, გამოყენებულ იქნას ამის შედეგად დაზოგილი რესურსები ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა საარსებო დონის ასამაღლებლად, აიკრძალოს ადამიანთა მასობრივი ჟლეტის ყველა საშუალება და განხორციელდეს კონტროლი ატომის ენერგიისადმი ისე, რომ მას იყენებდნენ მხოლოდმხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის; ხელი მოჰკიდოს ყველა ქვეყანაში სურსათის ნაკლებობის პრობლემის გადაწყვეტას და გაილაშქროს გერმანიისა და იაპონიის შეიარაღების წინააღმდეგ".

მუშა-ქიმიკოსების პროფკავშირმაც გაილაშქრა გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. მეხანძრეთა პროფკავშირმა პროტესტი განაცხადა გერმანიისა და იაპონიის შეიარაღების წინააღმდეგ.

ყველა ეს რეზოლუცია შედგენილ იქნა რამდენიმე თვის წინათ და ამიტომ არც ერთი მათგანი არ გამოხატავს პროფკავშირთა აზრს ამერიკის იმ უკანასკნელ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მოითხოვენ ფრანკისტული ესპანეთის შეყვანას დასავლეთ სახელმწიფოთა აგრესიულ კავშირში. მაგრამ მშენებელ ტექნიკოსთა პროფკავშირი აღნიშნავს: „კონგრესი მტკიცე პროტესტს აცხადებს ინგლისში ფაშისტური ესპანეთის ელჩის ჩამოსვლის წინააღმდეგ. კონგრესს ელჩის ჩამოსვლა და ფაშისტური ესპანეთის ცნობა მიაჩნია არა მარტო ინგლისელი ხალხის შეურაცხყოფად, არამედ იმ ლეიბორისტული, კოოპერაციული და პროფკავშირული მოძრაობის

ქონლის თანაბარი გაცვლის პოლიტიკა ისე, რომ არ მოხდეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, სსრ კავშირისა და ჩინეთის პოლიტიკური დისკრიმინაცია".

სამი რეზოლუცია აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკელები ერევიან ინგლისის კონომრეწველობაში, რომელიც ჰოლივუდის

თემთა პალატაში

ლონდონი, 26 ივლისი. (საქდეს). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ყოფილმა ვაჭრობის მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა, რომელიც 26 ივლისს თემთა პალატაში გამოვიდა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის საკითხის გამო გაშლილ კამათში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ძალიან ბევრ ამერიკელს არ ესმის ერთა თანამეგობრობის კონცეფცია,

პოლონეთის ჯარში მოქმედი ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პროცესი

ვარშავა, 31 ივლისი. (საქდეს). დღეს ვარშავის ...

მთავარი კომენდატურის მეექვსე განყოფილების

ინგლისში უარობება ამერიკის საჰაერო ბაზების ქსელი

ლონდონი, 31 ივლისი. (საქდეს).

საგაფიცო მოძრაობა საფრანგეთში

პარიზი, 31 ივლისი. (საქდეს).

მასწორება

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ში

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

დღეს კინოებში

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ნანიტაშვილი